თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. თელავი 2019 წლის 19 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ვახტანგ გაგნიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსს განმარტება გაეკეთებინა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

ვახტანგ გაგნიძემ აღნიშნა, რომ 2020 წელს ძეგლთა დაცვის პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრება 173 100 ლარით და ითვალისწინებს წლის განმავლობაში შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას კერძოდ:

ყორჩიბაშიშვილების ციხის სამხრეთ- აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაციას, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 49 700 ლარს;

დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიურ სამუშაოებს და პროექტის შესყიდვას - სულ 20 300 ლარს;

ასევე დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა შეადგენს 7 600 ლარს;

თეთრიწყლები/ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები და პროექტის შესყიდვა მოიცავს 20 500 ლარს;

კვირიკეს ციხის ძვ. გალავანი არქეოლოგია და პროექტის შესყიდვა-20 300 ლარი;

ვანთის სასახლის (მცირე ეკლესიის) საკონსერვაციო პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა შეადგენს 150 50 ლარს;

წინანდლის მთავარანგელოზის სახ. ეკლესია (ტოღნიანი) რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა - 10 500 ლარი;

ციხის წისქვილისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების, პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა შეადგენს 5000 ლარს;

ქართველების სასაფლაოზე არსებული ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა მოიცავს 15 000 ლარს;

კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე 6050 ლარი; რომელიც გულისხმობს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საგამომცემლო საქმიანობიაში

პროექტის ხელშეწყობას და ისტორიულ-კულტურული შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელებას. მოწვეულ ექსპერტებთან ერთად საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, სიმპოზიუმების, თათბირების, სემინარების და გამოფენების მოწყობას, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გზამკვლევების, ბროშურების, ჟურნალებისა და ბუკლეტების ბეჭვდას.

კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლების განათება წარმოადგენს ძეგლის ვიზუალურ ეფექტს, რაც კარგად წარმოაჩენს ისტორიული ძეგლის გარეგან სახეს, რაზეც დაიხარჯება 3000 ლარი;

აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტებისათვის შეადგენს 100 ლარს.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

მოისმინეს: **2.** თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** კომისიას გააცნო თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი, და აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პროექტის უმეტეს ნაწილში გათვალისწინებულია კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე